ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3833254

ნომერი: AR1574594

თარიღი : 03.02.2018

გაცემის თარიღი : 20.02.2018

გაცნობის თარიღი : 20.02.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება აეროპორტი , აეროპორტის მისასვლელი საავტომობილო გზის მიმდებარედ, (ნაკვ.02/024) / ქალაქი თბილისი , დასახლება აეროპორტი , აეროპორტის მისასვლელი საავტომობილო გზის მიმდებარედ, (ნაკვ. 02/026) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ქანთარია პ/ნ 01006007165
- თბილისი დიღმის მას. II კვ. კორ. 17 ბ. 52

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენსმიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. ვინაიდან ობიექტის განთავსება ხდება ინტენსიური მოძრაობის ტრასაზე, წარმოსადგენია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ დამოწმებული გენგეგმა ტრანსპორტის მოძრაობის სქემით და ასევე ზემოაღნიშნული სამსახურის პოზიცია.
2. წარმოდგენილი ესკიზური ნახაზის მიხედვით საპროექტო შენობა მალით სცდება I კლასის მახასიათებლებს. გაითვალსიწინეთ: I კლასის მახასიათებლებია: 5,0 მეტრამდე მალის, 60 კვმ-მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ–მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირზე საშუალოდ 2მ–მდე ჩაღრმავების მქონე შენობა.
3. ღიობების მოწყობით ირღვევა მიჯნის ზონა. მოიყვანეთ კანონთან შესაბამისობაში. იხელმძღვანელეთ ” ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების 30-ე მუხლის შესაბამისად.
4. ვინაიდან სამუშაოების განხორციელების ინტერესი აქვს მოსარგებლეს, წარმოსადგენია სათანადოდ დამოწმებული სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. გასათვალისწინებელია, რომ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.